სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

N 5005358523

18/08/2023

5005358523

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ს მერს ბნ/ქბნ სერგო ხიდეშელს

ბატონო სერგო,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N78-782320918 მომართვის (ბიუროს 2023 წლის 1 აგვისტოს რეგისტრაციის N1006111723) საფუძველზე, გიგზავნით სასაქონლო ექსპერტიზის N005862223 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

პავლე გიორგაძე
ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ª
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2ª I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5005358523

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,

ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

(ხელმოწერა)

თარიღი 18.08.2023

005862223

ექსპერტის დასკვნა № 005862223

გაფრთხილება

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: სასაქონლო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

სტრუქტურა: ონის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა:

დასახელება:

თანამდებობა: მერი

მისამართი:

სახელი და გვარი: სერგო ხიდეშელი

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ემზარ ხორავა / დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლამდე სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ , დაგვიდგინოთ ბულდოზერი ,,KOMATSU D65EX''-ის საბაზრო ღირებულება.

შემოსვლის თარიღი: 01/08/2023 წ

გასვლის თარიღი: 18/08/2023 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი 2008 წელს დამზადებული ,, KOMATSU D65EX "-ს, საიდენტიფიკაციო (შასის)ნომერი " 71406", სახ. ნომრით EZ-059, ბულდოზერის ტიპი, საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 370 000 ლარით.

ემზარ ხორავა

გამოკვლევა

005862223

კვლევა / გამოკვლევა

ქ. ონში ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა 2008 წელს დამზადებული ბულდოზერი ,, KOMATSU D65EX", სახ. ნომრით EZ-059, საიდენტიფიკაციო(შასის) ნომერი ,,71406", ავტომობილი აღჭურვილია დიზელი 155kw სიმძლავრის ძრავით, ფერი ყვითელი. ბულდოზერი ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ის შაშუალო შენახულობისაა აღენიშნება ხანგრძლივი ექსპლოატაციის კვალი , რაიმე დიდი დაზიანება ვიზუალური დათვალიერებისას არ გამოვლენილა.

ექსპერტიზის წინაშე დასმულია კითხვა ავტომობილის საბაზრო ღირებულების განსაზღვრა მის დაზიანებამდე, ავტომობილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი კომპლექტაცია, ვიზუალური და ტექნიკური მდგომარეობა, მისი დამზადების წელი, ექსპლუატაციის ხანგრძლივობა, შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები. ასევე სატრანსპორტო საშუალების მარკა, მოდელი და სხვა ტექნიკური პარამეტრი, რომელიც საბაზრო ღირებულების განსაზღვრისას ფასის ჩამოყალიბებაზე ახდენს გარკვეულ კორექტირებას. შეფასებისას გათვალისწინებულია შესაფასებელი სატრანსპორტო საშუალების იდენტური ან ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი, სატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულება. გათვალისწინებულია ექსპერტის ხელთ არსებული და მოპოვებული ინფორმაცია საავტომობილო ბაზრობებსა და ინტერნეტ გვერდებზე მსგავსი ავტომობილის საბაზრო ღირებულების შესახებ.

საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულების გაანგარიშებისას გამოიყენება სამი მეთოდი: შედარების, დანახარჯებისა და შემოსავლების, რაც ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში გამოიყენება შეფასების ერთი ან ორი მეთოდი. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ობიექტის შესაფასებლად, ექსპერტის მიერ გამოყენებულ იქნა შედარების მეთოდი. შედარების მეთოდის გამოყენებისას, საბაზრო ღირებულების შესახებ მოსაზრება ყალიბდება შესაფასებელი ქონების შედარებით ისეთ მსგავს ქონების ობიექტებთან, რომლებიც იქნენ გაყიდული ან გამზადებულია გასაყიდად (შეთავაზებულია გასაყიდად). ამ მიდგომის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ქონების საბაზრო ღირებულება ყალიბდება შესადარებელი ქონების (ანალოგების) გაყიდვის ან შეთავაზების ფასებთან.

ამრიგად, შედარების მეთოდის პრინციპია – ღირებულების განსაზღვრა ანალოგიური ობიექტების ფასების ანალიზის საფუძველზე.

ექსპერტის წინაშე დასმული საკითხის გადაწყვეტის მიზნით ჩატარდა კვლევა მსაგავსი ავტომობილების სარეალიზაციო ფასების დასადგენად. საქონლის საბაზრო ფასად ითვლება ფასი, რომელიც ყალიბდება აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს საქონელი გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია ანალოგიური ქონების ყიდვა-გაყიდვის საბაზრო ინფორმაციაზე, რომელიც განხორციელდა ტიპიურ საბაზრო პირობებში და მაქსიმალურად მიახლოებულია შეფასების თარიღთან.

ყოველივე ზ/აღნიშნულის, ასევე ავტომობილის დამზადების წლის, კომპლექტაციის, მისი ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობის, ტექნიკურად გამართული ავტომობილების საბაზრო ფასების გათვალისწინებითა და კორექტირებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ექსპლუატაციაში ნამყოფი 2008 წელს დამზადებული ,, KOMATSU D65EX "-ს, საიდენტიფიკაციო (შასის)ნომერი " 71406", სახ. ნომრით EZ-059, ბულდოზერის ტიპი, საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ განისაზღვრა 370 000 ლარით.

ემზარ ხორავა

005862223

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მირიან სამხარაძე

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: მირიან სამხარაძე

005862223

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4

ფოტო 5

ფოტო 6

ფოტო 7

ფოტო 8

3005871823

მიღება-ჩაბარების აქტი № 3005871823

რეგიონი	ქუთაისი	დასრულების თარიღი	18/08/2023

დოკუმენტი:			
რეგისტრაციის ნომერი:	1006111723	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	01/08/2023	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:		ხელშეკრულების თარიღი:	
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	005862223		

ექსპერტიზის დამკვეთი :	
სახელი და გვარი:	სერგო ხიდეშელი
პირადი ნომერი:	
სტრუქტურა:	ონის მუნიციპალიტეტის მერია
ქვესტრუქტურა:	
დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	237978275
თანამდებობა:	მერი
დოკუმენტის შემომტანი:	ზურაბი ჭელიძე

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
19004. - საექსპერტო კვლევითი მიზნებისათვის, ბიუროს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების და ტერიტორიული ორგანოების განთავსების მუნიციპალური საზღვრებიდან გასვლა	1	300	300
14017.1. - სატვირთო ავტომობილის (3500 კგ-ზე მეტი) საბაზრო/ საბაჟო ღირებულების განსაზღვრა	1	350	350
			ჯამი: 650.00
			საბოლოო ფასი: 650.00

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):		
ემზარ ხორავა		
საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტი		

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
	გაცემის თარიღი 30/11/2023